ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №169

6 ივნისი 2014 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის ,,სხივისათვის" (ს/კ - 242008796) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი ერთეული სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №32 დადგენილებით დამტკიცებული ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის" მე-13 მუხლის მე-3 პუნქტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური ,,სხივი"-ს (ს/კ - 242008796) 2014 წლის 15 მაისის №38 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური ,,სხივის" (ს/კ - 242008796) უსასყიდლო სარგებლობის უფლებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 სატრანსპორტო საშუალება დანართის მიხედვით, საერთო ღირებულებით - 294 834.30 (ორას ოთხმოცდათოთხმეტი ათას რვაას ოცდათოთხმეტი და ოცდაათი) ლარი.

2.მუნციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა განხორციელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული თხოვების ფორმით.

3.თხოვების ფორმით სარგებლობის უფლების ვადა განისაზღვროს 2014 წლის 15 ივლისამდე.

4.დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას (თ. ჯინჭარაძე) მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის მომზადება.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე